Diana Tkebuchava
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
Academic Research Coordinator,
BRAMS Institute

Examining Paul Krugman's Columns

(Abstract)

KEYWORDS: Paul Krugman, Economic Analysis, Critical Thinking, Media, Columnist, Nobel Prize Winner

Paul Krugman is a prominent columnist for *The New York Times* and Professor of Economics at the Graduate Center, City University of New York (CUNY); he previously taught at MIT and later at Princeton University. In 2008, he was awarded the Nobel Memorial Prize in Economic Sciences. Paul Krugman is not only an economist whose unconventional ideas helped shape modern macroeconomics but also an engaging columnist and a distinguished figure in contemporary American journalism. His columns capture and sustain readers' attention through rigorous analysis of facts and events, original interpretation, skillfully crafted leads and conclusions, effectively written endings, and intriguing headlines whose meanings are often revealed later in the text. These qualities consistently produce a strong emotional impact.

Even when readers disagree with his creative judgements or struggle to follow his evaluations, they cannot fail to be impressed by his analytic – indeed, critical – thinking. He highlights

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

influential points, often generalises from evidence, examines issues from multiple angles, and constructs broad, intelligible pictures of current affairs that resonate with a wide audience. Paul Krugman probes the roots of crises and conflicts, and frequently proposes solutions.

He is never shy about making bold claims that provoke prolonged public controversy; yet in contentious contexts, he navigates carefully, anticipating opposing viewpoints and preparing robust defences. His phrasing reminds me of walking over rope bridges while avoiding the dangers of mental traps he puts himself into: he anticipates opposing arguments and prepares measured, well-reasoned rebuttals, navigating complex issues with intellectual dexterity. As both a renowned public intellectual and a rigorous scholar, Paul Krugman combines a keen intellect with a trenchant style.

As a renowned writer and an extraordinarily intelligent scholar, he has an equally sharp mind and sharp tongue. Whether addressing economics or politics, his pieces characteristically offer thorough cause-and-effect analysis and often approach a scholarly standard. At the same time, his content demonstrates mastery of diction and phrasing: Krugman employs apt analogies, evocative metaphors, subtle irony and rhetorical figures to achieve expressive, persuasive columns. Eventually, readers often adopt his measured concern for the issues Krugman discusses and his professional commitment to seeking solutions to apparently intractable problems.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დიანა ტყებუჩავა
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
აკადემიური კვლევების კოორდინატორი,
ბრამსის ინსტიტუტი

პოლ კრუგმანის საავტორო სვეტების ანალიზი

საკვანძო სიტყვები: პოლ კრუგმანი, ეკონომიკური ანალიზი, კრიტიკული აზროვნება, მედია, ქალამნისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი

გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსის“ ქალამნისტი პოლ რობინ კრუგმანი განსაკუთრებულად გამორჩეული ავტორია თანამედროვე ამერიკულ მედიაში. მის პუბლიკაციებს შესაშური ანალიტური აზროვნების, ფაქტებისა და მოვლენების, პრობლემათა სიღრმისეული კვლევის ოსტატობის, შეფასება-ინტერპრეტაციათა მყარი არგუმენტირებულობის გარდა, ახასიათებს ჟურნალისტური ხელოვნების ისეთი პარამეტრებიც, როგორიცაა: აქტიური დასაწყისის (ლიდის) ეფექტური ვარიანტები, შედეგთა პროგნოზირების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემოთავაზების მეცნიერული სიზუსტე, ინტერპრეტაციის ხელოვნება, მეტაფორული აზროვნება, ტექსტის ესეიზაციის პროფესიონალიზმი, აზრის მომხიბლავ სიტყვიერ ქსოვილში შეფუთვის, ფორმისა და შინაარსის ურთიერთგანპირობებულობის ჰარმონიულობა.

პოლ კრუგმანი 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატია საერთაშორისო ეკონომიკის დარგში, კეინსიანისტი[1] და მისი მიმდევარი მოთხოვნის მართვის ფისკალური პოლიტიკის საკითხებში, რაც აისახა როგორც კრუგმანის სანობელო ნაშრომში, ასევე, ბესტსელერში „კრიზისიდან გამოსავალი არსებობს“.[2] „ყველაზე არაორდინალური ამერიკელი ეკონომისტი“, როგორადაც მას თანამედროვე

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ეკონომისტთა და ფინანსისტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, 2007 წელს აშშ-ში დაწყებულ დიდ რეცესიას, რაც მწვავე კრიზისად მოედო დანარჩენ მსოფლიოსაც, ოპტიმისტური პათოსით დაწერილი ნაშრომით შეეხმიანა. მაშინ, როცა ყველა ქვეყნის წამყვანი ეკონომისტები კრიზისიდან გამოსავალს მხოლოდ „ქამრების შემოჭერასა“ და კრიზისის ბუნებრივ დაცხრობაში ხედავენ, ეფექტური სავაჭრო მიმოქცევის თეორიის ავტორი, ნობელიანტი პოლ კრუგმანი ხმამაღლა აცხადებს, რომ არის კრიზისიდან სხვა გამოსავალი, მთავარია, მისი განხორციელება გაბედონ მსოფლიო ეკონომისტებმა და პოლიტიკოსებმა.

ვიდრე მსოფლიო ეკონომიკური ელიტა ასეთ არჩევანს გააკეთებდა, წამყვანი ამერიკული გაზეთები პოპულარული ჟურნალისტური ჟანრის (თუ ფორმის – ამაზე ჯერაც ვერ შეთანხმებულან მედიათეორეტიკოსები) – საავტორო სვეტის (Column) შექმნას სთავაზობენ კრუგმანს, რის შემდგომ მისი პოპულარობა არნახულ მასშტაბს აღწევს ახალ – მედიაასპარეზზეც.

პუბლიკაციაში „ამერიკელი მასწავლებლები სიღარიბის ზღვართან“[3] პოლ კრუგმანი ფაქტის ინტერპრეტაციას ლიდშივე ახდენს: „რამდენიმე დღის წინ კენტუკის გუბერნატორმა, კონსერვატორმა რესპუბლიკელმა მეთ ბევინმა კონტროლი დაკარგა თავის შტატზე“. ასეთი დასაწყისი უკვე გარკვეულ ინტრიგასაც შეიცავს და პრობლემის მასშტაბურობაზეც მიანიშნებს: გუბერნატორმა მართვის სადავეები დაკარგა საკუთარ შტატში, მაშასადამე, აქ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი ხდება. მკითხველის ყურადღება უკვე დაიძაბა, ინტერესი გაღვივდა: „რა ხდება?“ თავად „მისი უდიდებულესობა“ – ფაქტი კი, რომელიც გუბერნატორის ასეთი ფიასკოს მიზეზი გამხდარა, მხოლოდ ამის შემდეგაა შემოთავაზებული: „ათასობით მასწავლებელი ერთი დღით სამუშაოს ტოვებს, რათა პროტესტი, აღშფოთება გამოხატოს მისი (გუბერნატორის, დ.ტ.) პოზი-

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ციის გამო განათლების დაფინანსების შემცირების საკითხთან დაკავშირებით“. შემდგომ ჟურნალისტი ცალსახად კრიტიკულად შეაფასებს და მკვეთრად გმობს გუბერნატორის აბსურდულ „ბრალდებას“ და წერს: „ბევრი სკოლა იძულებული გახდა დაკეტილიყო გაფიცვის განმავლობაში, რის გამოც ბოვინი გამოვიდა უცნაური, მეტიც – ყოვლად უაზრო ბრალდებით: „მერწმუნეთ, დღეს, სადღაც კენტუკიში, რომელიღაც ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა იმის გამო, რომ შინ დარჩა და არავინ ჰყავდა, ვინც მასზე იზრუნებდა“. ქალამნისტის მკვეთრი კომენტარის არგუმენტად ჟღერს ფაქტი, რომ: „მოგვიანებით გუბერნატორმა ამის გამო მოიბოდიშა, მაგრამ მის ისტერიულ გამოხდომას ღრმა ფესვები აქვს“. კრუგმანი სწორედ ამ „ფესვების“ კვლევას გვთავაზობს პრობლემის არსის გარკვევის მიზნით. საამისოდ იგი ამ კონკრეტულ ფაქტს განაზოგადებს: „დაფინანსების შემცირების იდეით კონსერვატორულმა შეპყრობილობამ იქამდე მიიყვანა რესპუბლიკელები, რომ სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ დონეებზეც ეს იღებს, ზოგადად, განათლების და, კერძოდ, სკოლის მასწავლებელთა წინააღმდეგ ომის სახეს“. ნობელიანტი-ქალამნისტი სკრუპულოზურად იკვლევს ამ მოვლენის (პრობლემის) მიზეზ-შედეგობრივ ნიუანსებს და ბოლოს „წრიული კომპოზიციის“[4] ეფექტური ჟურნალისტური ხერხის გამოყენებით გვთავაზობს საგულისხმო არგუმენტირებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს იმის თაობაზე, რომ: „ჩვეულებრივ, დაფინანსების შემცირებას ყოველთვის ის დაპირება ახლავს, რომ ეს უზრუნველყოფს სახელმწიფოს ეკონომიკურად გაძლიერების კოლოსალურ იმპულსს, მაგრამ ეს დაპირება არასოდეს, არასოდეს სრულდება“. შედეგად: „ვიღებთ ერს, სადაც მასწავლებლები თავს სიღატაკის ზღვარზე გრძნობენ და იძულებულნი ხდებიან დამატებითი სამუშაო ეძებონ... ეს კი ის ადამიანები არიან, ვისაც ჩვენი შვილების

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

მომავალს, მათ აღზრდას ვანდობთ, მათ მომზადებას ცხოვრებისათვის, რაც უკვე მათ ძალებს აღემატება...“

სახელმოხვეჭილ ქალამნისტს შეიძლება დაეთანხმო ან – არც დაეთანხმო, მაგრამ, გამორიცხულია, არ მოგხიბლოს მისმა ანალიტურმა, კრიტიკულმა აზროვნებამ, პუბლიცისტური აქცენტების დასმის ხელოვნებამ, ფაქტის განზოგადების, ლოკალური პრობლემის ყველა დონეზე სიღრმისეული კვლევისა და მასშტაბური განზოგადებებისაკენ მიზანსწრაფვამ, კრიზისის ფესვების ძიების სურვილმა და აზარტმა, რაც, ხშირ შემთხვევაში, პრობლემის მოგვარების, გადაჭრის გზაცაა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ქალამნისტის, როგორც ავტორის, თავისუფლება ფორმისა თუ სტილის ან შინაარსის თვალსაზრისით, არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მის უპასუხისმგებლობასა და თავაშვებულობას. ეს, პირველყოვლისა, მაღალ პასუხისმგებლობას, პროფესიონალიზმს, ზნეობისა და ეთიკის ნორმათა უპირობო დაცულობას, ურთიერთობის უზადო კულტურას ნიშნავს, რისი კლასიკური ნიმუშიცაა პოლ კრუგმანის ქალამნისტიკა: რეპორტინგი + ანალიტიკა + შეფასება-თვალსაზრისი, ესაა საორიენტაციო სქემა, რაც მედიააუდიტორიის აზროვნების გააქტიურებას, დასაფიქრებლად პროვოცირებას, ამბავთთხრობის ლაბირინთებში გაყოლიებას[5] ემსახურება პოლ კრუგმანის მედიაშემოქმედებაში. ქალამნისტი – საავტორო სვეტის ავტორი არც დამაინტრიგებელ თვალსაზრისებს ერიდება, რაც, შესაძლოა, ზოგჯერ კამათის, ვნებათაღელვის საფუძველიც გახდეს; ოღონდ აქ მას ბეწვის ხიდზე სიარულის აუცილებელი ოსტატობაც გააჩნია, რომ ჩიხში არ მოექცეს და ზუსტად გათვალოს სავარაუდო ოპოზიციური აზრი, მზად იყოს საპასუხო არგუმენტირებული თავდაცვისათვის.[6]

ნიმუშად უთუოდ გამოდგება ჟურნალისტიკის გრანდის გამორჩეული პუბლიკაცია „მთელი ევროპული პრო-

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ექტი დიდი დარტყმის საფრთხის წინაშე“.[7] როგორც უკვე ავღნიშნე, საკუთარი მოსაზრების (შეფასების, ინტერპრეტაციის) წინა პლანზე წამოწევა, ლიდშივე შემოთავაზება კრუგმანის ხელწერაა: იგი ჯერ მოვლენის, პრობლემის საკმაოდ ემოციურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, რითაც ერთგვარად, ჩაგვითრევს აქტიური აზროვნების, განსჯის მუდმივად ჟურნალისტურად ტემპაჩქარებულ პროცესში და მხოლოდ ამის შემდგომ შეუდგება გამოწვლილვით, მეცნიერული სიზუსტითა და სკრუპულოზურობით ამა თუ იმ, ყოველთვის ძალზე აქტუალური, მწვავე პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემის, ამოცანის გასიგრძეგანებას, ანალიზს, მიზეზშედეგობრივ კვლევას; გვთავაზობს მოვლენათა განვითარების სავარაუდო პროგნოზებსაც, რაც განსაკუთრებით ფასეულია მედიაშემოქმედებაში.

ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ტენდენცია უკვე სათაურშია მინიშნებული, რაც მკითხველის ერთგვარ შემზადებას ემსახურება, მისი განწყობის შექმნას მოვლენის ავტორისეული ხედვის გაზიარებისათვის. ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო ღრმავდება ლიდში: „პირდაპირ უნდა ითქვას: რაც მოხდა, თავზარდამცემი იყო. ამასთან, დიდი დოზით, რის გამოც ბევრ ადამიანს მივიჩნევ ლანძღვის ღირსად – დევიდ კამერონით დაწყებული, რომელმაც, როგორც ჩანს, გადაწყვიტა სწრაფწარმავალი პოლიტიკური წარმატების სახელით ისტორიაში შესვლა, როგორც პიროვნებამ, რომელმაც დაშლის ზღვართან მიიყვანა ევროპაცა და საკუთარი ხალხიც, იმ აუტანელი ბრიტანული გაზეთების რედაქტორების ჩათვლით, ჯიუტად რომ ტენიდნენ პუბლიკას ტყუილებს“. პუბლიცისტი აქ, თითქოს, „წუთშესვენებას“ იღებს და ემოციურ ცეცხლს „პატრუქს“ ოდნავ დაუწევს, ტემპს ანელებს და ამოსუნთქვის საშუალებას უტოვებს, ცოტა არ იყოს, შოკირებულ მკითხველს: „ამ სიტყვების წარმოთქმით ოდნავ გულზე მომეშვა და ახლა ნაკლებ ვღელავ ევროკავშირი-

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

დან გასვლის (Brexit) გამო, ბრიტანულ რეფერენდუმზე რომ ვფიქრობ“. ამის შემდგომ კრუგმანი აანალიზებს მოსალოდნელ შედეგებს ეკონომიკური, ფინანსური, პოლიტიკური კუთხით და ენდინგში გვთავაზობს კონცეფციას: „კაცმა რომ თქვას, ყველა უბედურება, რისიც მეშინია, მაინც მოხდება, ევროკავშირში დარჩენის მსურველებმა რომც გაიმარჯვონ რეფერენდუმში“. აქ მეცნიერს ისევ პუბლიცისტი უთმობს ასპარეზს და ექსპრესიული მხატვრული საშუალება, შთამბეჭდავი მეტაფორა რელიეფურად გამოკვეთს ჟურნალისტის შეფასებას: „ვამტკიცებ: ევროპის დონეზე რეფერენდუმმა მხოლოდ ყურადღება მიაპყრო ფურუნკულს, რომელიც უმალ მაინც გასკდებოდა, ბრიტანული ქმედებებისა თუ უმოქმედობის მიუხედავად; მაგრამ, აი, ვის მიადგა საგრძნობი დამატებითი ზარალი, ზარალი, რომელიც არ იქნებოდა, კამერონს რომ არ გადაედგა პოლიტიკურად არასწორი ნაბიჯი – დაზარალებული თავად ბრიტანეთია. ცხადია, არ ვარ ბრიტანულ გარემოებათა დიდი მცოდნე, მაგრამ ძალიან სავარაუდოა, რომ რეფერენდუმი თავდაჯერებულობას შემატებს პოლიტიკური ცხოვრების უარეს ელემენტებს და გაერთიანებულ სამეფოს დაშლით დაემუქრება... პრემიერ-მინისტრი, შესაძლოა, მხოლოდ ინგლისის პრემიერ-მინისტრად დარჩეს და არა – ნაწილებად გადაფანტული დიდი ბრიტანეთისა. აქ წერტილს დავსვამ და – „შემდგომ მხოლოდ დუმილია...“ მაგრამ, ჩანს, ქალამნისტი აქ მაინც ვერ სვამს „საფინალო წერტილს“[4] და განაგრძობს: „ახლა კი დაცხრით, ნუ გამოიტირებთ მაკროეკონომიკის ასეთ ხანმოკლე ამქვეყნიურ არსებობას. სხვათა შორის, ევროპის გამო გლოვა თქვენ ჩემი დარიგების გარეშეც გმართებთ. ხოლო თუ განგაშის ზარების შემოკვრა გსურთ, იგანგაშეთ ბრიტანეთის გამო...“

ვნებათაღელვა ბრექსითის ირგვლივ ჯერაც არ დამცხრალა. ძნელი სათქმელია, რას მოუტანს იგი ინ-

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

გლისსა თუ მთლიანად გაერთიანებულ სამეფოს, ანდა ევროკავშირსა თუ დანარჩენ მსოფლიოს. დისტანციურად, სხვა ქვეყნის მოქალაქის თვალსაწიერიდან (რომელიც თავად აღიარებს, რომ ბრიტანულ გარემოებათა დიდი მცოდნე არაა), ისიც ძნელი სათქმელია, მცდარი იყო თუ არა დევიდ კამერონის თამამი პოლიტიკური ნაბიჯი. არჩევანი ქვეყნის მოსახლეობამ – გაერთიანებული სამეფოს თითოეულმა მოქალაქემ გააკეთა. აქ ზემოთქმულის გამეორება მომიხდება – ჟურნალისტს, შესაძლოა, დაეთანხმო, ან – არა, გაიზიარო მისი პოზიცია ან კიდევ, არც მთლად, მაგრამ, ვფიქრობ, შეუძლებელია არ მოიხიბლო ამერიკული მედიის სითამამით, მიზანსწრაფულობით, გამოხატვის თავისუფლებით, სიტყვით დარწმუნების ხელოვნების ოსტატობითა და პროფესიონალიზმით.

სტატიაში „ეს უაზრო სავაჭრო ომი“[8] პოლ კრუგმანმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა აშშ-ის მიმდინარე სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც, ხელისუფლების გათვლით, სამუშაო ადგილების შექმნაზეა ორიენტირებული. აქაც, ქალამნისტი უკვე სათაურში და, შემდგომ, პირველსავე სტრიქონში გვთავაზობს პრობლემის შეფასება-ინტერპრეტაციას: „მაშ ასე, სავაჭრო ომი დაიწყო და, რაოდენ უაზრო იგი!“ ასეთი კატეგორიული განცხადების შემდგომ, ავტორი ეკონომიკურ კანონზომიერებათა ლოგიკური ანალიზის, პროფესიონალური მსჯელობის მომარჯვებით იკვლევს მოვლენის არსს, მის სპეციფიკას: „ფოლადსა და ალუმინზე ახალი გადასახადის დაწესების ოფიციალური, იურიდიული საფუძველი ეროვნულ უსაფრთხოებადაა შეფასებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ ძირითადად, უშუალო მსხვერპლნი გახდებიან მოკავშირეები დემოკრატიული ბანაკიდან, ეს „საფუძველი“ აშკარად თაღლითობად აღიქმება“. შემდეგ კრუგმანი თავმდაბლურ პოზიციას იკავებს: „ისე თუ ასე, ეკონომისტი ვარ (შეგახსენებთ, იგი ნობელიანტია საერთაშორისო ეკონომიკაში,

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

დ.ტ.) და შემიძლია ვთქვა: იმის მიუხედავად, რეალურად კარგია თუ ავი არსებული სავაჭრო პოლიტიკა, სამუშაო ადგილების შექმნასთან დაკავშირებით მისგან მიღებული შედეგი ნულის ტოლი იქნება“. ავტორი პროფესიონალურად განიხილავს საამისო ოთხ მიზეზს და დაასკვნის: „ამდენად, ეს უდავოდ უაზრო ომია, რომელშიც სიტუაცია ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ ვერ განვითარდება...“

ანალოგიურად, კრიტიკული, კატეგორიული, რამდენადმე ხისტიც კია პოლ კრუგმანის პოზიცია პუბლიკაციაში „ტრამპი და პუტინი ამერიკის წინააღმდეგ“.[9] ქალამნისტი საკმაოდ ემოციურად იკვლევს რუსეთის ფედერაციის ჩართულობას ამერიკის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში და იმოწმებს CIA-ისა და FBI-ის ახალ მტკიცებულებებს. „რუსეთის ფედერაციას ჰქონდა თავისი მიზეზები (მოტივაცია) თამაშიდან გაეყვანა ანტიპუტინისტი ჰილარი კლინტონი“ – ასეთია კრუგმანის შეფასება. ტრამპის პოზიცია კი, რომელიც, ავტორის თვალთახედვით, ლოიალურად შეაფასებს „რუსეთის უპრეცედენტო კიბერშეტევას ზესახელმწიფოს დემოკრატიულ პროცესზე, აშშ-ის ფასეულობებზე“, კრუგმანს მიუღებლად მიაჩნია.

მსუბუქად, ყოფითი სიტუაციის წინ წამოწევით, ერთგვარ ფონად გამოყენებით მივყავართ პოლ კრუგმანს რთული ეკონომიკური პრობლემის გააზრებამდე საავტორო სვეტში „ჩემი კრიპტოსკეპტიციზმის მიზეზები“[10]: „ჯერ კიდევ შვებულებაში ვარ: მოგზაურობა, ველოსიპედით სეირნობა ევროპის სხვადასხვა კუთხეში. თუმცა, ასე თუ ისე, თვალს ვადევნებ სიახლეებსაც, ოღონდ, ძალზე იშვიათად და სრულიად დაუგეგმავად მიჩნდება დრო და საშუალება, რამე დავწერო და გამოვაქვეყნო“. აქ, ლიდში ავტორის ავტოპორტრეტის უმნიშვნელოვანესი შტრიხიც იკვეთება – სადაც უნდა იყოს და რა სიტუაციაშიც, პროფესიონალი ქალამნისტი მუდმივად სიახლეებზე ორიენტირებული და შემოქმედებითად მომართულია. ეს საშვებუ-

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ლებო სიმსუბუქე კი რთულ სათქმელთან ბუნებრივად, იოლი გზით მისასვლელად, აზროვნების ლაბირინთებში მკითხველის გასაყოლიებლად დასჭირდა: „ახლა სწორედ ერთი ასეთი მომენტია და, ვიფიქრე, შემიძლია გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება იმ საგანზე, რითაც დაბრუნებისთანავე დავკავდები. ორიოდ კვირაში ვაპირებ ვითამაშო ემანუილ გოლდსტეინის როლი – ბლოკჩეინის კონფერენციაზე აღიარებული მტრისა...“ აქვე კიდევ ერთი „ლირიკული გადახვევა“ და მორიგი შტრიხი პოლ კრუგმანის ჩახლართული ავტოპორტრეტისა: „ჰეი, თუ თქვენ მხოლოდ მეგობრულად განწყობილი აუდიტორიის წინაშე გამოდიხართ, ჩანს, ძალიან იმარტივებთ ცხოვრებას. ამიტომ, ვიფიქრე, ღირს განვმარტო, რატომ ვარ სკეპტიკური კრიპტოვალუტის[11] მიმართ“. ქალამნისტი ნამდვილად არ „იიოლებს“ ცხოვრებას და, ურთულეს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პრობლემებს შეჭიდებული, ხშირად დინების საწინააღმდეგოდაც მიდის: „ბიტკოინის გაშვებიდან რვა წლის შემდეგ, კრიპტოვალუტა სუსტად ინერგება რეალურ ვაჭრობაში. ზოგიერთი ფირმა კი იყენებს მას გადახდის საშუალებად, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს უფრო იმის მცდელობაა, დაგვანახონ: „შემომხედეთ, რა სუპერთანამედროვე ვარ“, ვიდრე არჩევანი შედეგის ეფექტურობის სასარგებლოდ. კრიპტოვალუტას მაღალი საბაზრო შეფასება აქვს, მაგრამ იგი, უმეტეს შემთხვევაში, ავანტიურულ გასართობად ითვლება და არა – გადახდის მოსახერხებელ საშუალებად“. ავტორი აქ ირონიულ ქვეტექსტსაც იყენებს კრიპტოვალუტის სახელწოდების – „Tether“ ტერმინთან – tethering[12] მსგავსების გახაზვით. მისი თვალთახედვით: „ყოველივეს განაპირობებს ორი რამ: ტრანზაქციული დანაზოგები და მიბმულობის არარსებობა“.

ნობელიანტი-ქალამნისტი ურთულეს ფინანსურ საკითხს გამოწვლილვით განმარტავს, აანალიზებს და წო-

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ნადი არგუმენტების მოშველიებით ავითარებს საკუთარ პოზიციას, ოღონდ, ჯერ მისთვის დამახასიათებელი სკეპტიციზმით სვამს რიტორიკულ კითხვას: „ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს, რომ კრიპტოვალუტა საპნის ბუშტია, რომელიც, ბოლოს, უბრალოდ, გასკდება?!“ ამ ვარაუდის გამართლებას, ღრმად, ანალიტურად მოაზროვნე მეცნიერი-ქალამნისტი სპეციფიური ფინანსური ოპერაციების, დეტალების ახსნით ცდილობს პოპულარული ენით, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რიგითი მკითხველის – არაეკონომისტისთვისაც გასაგებად და მისაწვდომად. დასკვნას კი ეფექტური ანალოგიის გამოყენებით – ნაცნობი მოვლენის საშუალებით უცნობის, რთულის, ახლის ნათელყოფისთვის გვთავაზობს; კერძოდ, ოქროს, როგორც უძველესი ვალუტის, შედარებით თანამედროვე კრიპტოვალუტასთან: „გარკვეული აზრით, ოქრო იმავე სიტუაციაშია. ოქროს მარაგი, უბრალოდ, სადღაც ინახება და თავის ღირებულებას მხოლოდ იმიტომ ინარჩუნებს, რომ ადამიანები მას ძვირფასად მიიჩნევენ. თუმცა, ოქროს მართლაც აქვს პრაქტიკული გამოყენება, მაგალითად, საიუველირო ნივთების დასამზადებლად ან – კბილების დასაბჟენად, რაც უზრუნველყოფს მის სუსტ, მაგრამ მაინც ბმას (tethering) ეკონომიკასთან.

კრიპტოვალუტას კი, პირიქით, არ გააჩნია რაიმე საფუძველი, რაიმე კავშირი (tethering) რეალობასთან. მისი ფასი მთლიანად თვითრეალიზებად მოლოდინთანაა დაკავშირებული, რაც ჩავარდნის სავსებით რეალურ შესაძლებლობას ნიშნავს. თუ ყველა საქმოსანი ერთბაშად დაეჭვდება და უეცრად დაფრთხება ბიტკოინის გაუფასურების შიშით, იგი მართლაც დაკარგავს ღირებულებას“. პოლ კრუგმანს ეს სავსებით მოსალოდნელი ჰგონია, ამიტომაც დაასკვნის: „აი, რატომ ვარ კრიპტოსკეპტიკოსი. შესაძლოა, ვცდები? რა თქმა უნდა! მაგრამ, ვიდრე შემედავებით, ჯერ ერთ კითხვაზე მიპასუხეთ: რა პრობლემას

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

აგვარებს კრიპტოვალუტა? და ნუ შეეცდებით სკეპტიკოსთა ხმის, უბრალოდ, ჩახშობას ტექნიკური და ლიბერტარიანული ნაბოდვარის ნარევით“. ასეთი მკაცრი და კატეგორიულია ქალამნისტის დასკვნა.

2018 წლის ივლისში პოლ კრუგმანი კვლავ უბრუნდება ბრექსითის თემას, რომელიც, როგორც ჩანს, მისთვის ძალზე მტკივნეულია. ამჯერად ეკონომიკის ჭრილში განიხილავს მოვლენას და სათაურშივე ე.წ. „საფუძველი-სიტუაციით“ გამოკვეთს საკუთარ პოზიციას: „ბრექსითი გრავიტაციის პირისპირ“,[13] რაც, მედიათეორიაში კარგად ცნობილი „ფელეტონური სვლით“ ტექსტშია განვრცობილი და დაწვრილებით გაანალიზებული. აქ მთავარი „ინტრიგა“, როგორც მედიათეორეტიკოსები უწოდებენ, „საფუძველი-სიტუაცია“,[14] არსებითად, ტერმინში „გრავიტაცია“ მოიაზრება: იგი თავისი ჩვეულებრივი (ლექსიკური) მნიშვნელობით ვერაფრით თავსდება ამ კონტექსტში, მაგრამ სწორედ თავისი „ალოგიკურობის“ მეშვეობით შემოაქვს ინტრიგა, აღვივებს ინტერესს.

ერთი შეხედვით, მაინც რა კავშირი უნდა ჰქონდეს გრავიტაციას, რომელიც, რიგითი მკითხველის (არაეკონომისტის, დ.ტ.) აზროვნებაში მსოფლიო მიზიდულობას ნიშნავს? სად მსოფლიო მიზიდულობა თუ ნიუტონის კანონები და სად – ბრექსითი? ლიდშიც გვერდს უვლის ამ დეტალს ავტორი და შემოვლითი გზით მივყავართ უმთავრეს სათქმელამდე: „ბოლო დროს ძალიან ბევრს ვწერ საგაჭრო პოლიტიკაზე. ვიცი, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი თემებიც არსებობს... მაგრამ შემოსავლებისა და გასავლის საკითხები მუდამ აქტუალურია. თუ ბოლომდე გულახდილი ვიქნები, ვაჭრობის თემა ჩემთვის ერთგვარი თერაპიის ან – ესკაპიზმის[15] ფორმაა, რომელიც საშუალებას მაძლევს, მრუმე პოლიტიკურ სიახლეთა შორის ინტერვალებში, ჩემთვის მახლობელ და კარგად ნაცნობ საგნებზე მოვახდინო კონცენტრირება“. ამის შემდგომ,

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

როგორც სჩვევია, კრუგმანი წინმსწრებად გვთავაზობს ზოგიერთ საკუთარ მოსაზრებას განსახილველ საკითხზე: „ნებისმიერ შემთხვევაში, ბრექსითის კრიზისზე ფიქრისას, თავად ბრიტანეთმა რომ გამოიწვია (და რასაც, სხვათა შორის, ჩანს, პუტინმაც ხელი წააშველა), ვფიქრობ, გონივრული იქნება, შევეცადოთ ზოგიერთი თანამდევი ეკონომიკური პრობლემის ახსნა, რაც თვალსაჩინო უნდა იყოს და, უთუოდ, აშკარაცაა არაერთი ბრიტანელი ეკონომისტისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, გამოცანაა ბრექსითის მომხრეთა და ფართო პუბლიკისათვის“.

ვიდრე უშუალოდ ამ ეკონომიკური პრობლემების ანალიზს შემოგვთავაზებდეს, ნობელიანტი-ეკონომისტი კვლავ ეფექტურ ჟურნალისტურ ფანდს მიმართავს და ჯერ თანამდევ პოლიტიკურ ასპექტებს განიხილავს პრობლემის ჭრილში: „ეს ასპექტები ნათელყოფენ, თუ რატომ ცდილობს ტერეზა მეი განახორციელოს „რბილი“ ბრექსითი, როგორც ზოგიერთები უწოდებენ – BINO-ბრექსითი, მხოლოდ სიტყვიერად და რატომ ვერ მოხერხდება რეალურ ცხოვრებაში ბრექსითის მომხრეთა მიერ მხარდაჭერილი სავაჭრო შეთანხმების რეალიზება ამერიკის შეერთებულ შტატებთან“. ქალამნისტი არ ჩქარობს. მეცნიერული კეთილსინდისიერებით (რაც ჰქონდა თავისი არსებობის საუკეთესო პერიოდებში „სიტყვით დარწმუნების ხელოვნებად“ სახელდებულ ჟურნალისტურ პრაქტიკას და, რაც, თითქმის დაკარგა თანამედროვე მედიამ, დ.ტ.) წარმოაჩენს ორივე მხარის – ბრექსითის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა არგუმენტებს ისე, რომ არ გახაზავს არც ერთის უპირატესობას, თავს იკავებს პოზიციის გამჟღავნებისგან და მხოლოდ მოგვიანებით სვამს დამაინტრიგებელ კითხვას: „რადაც ისე ვერ არის მთელ ამ ზღაპარში, მაგრამ რა?“ ეს ანაზდად „შემოგდებული“ სიტყვა – ზღაპარი, უკვე მიანიშნებს ავტორის პოზიციას, შეამზადებს ნიადაგს მისი გამოკვეთისათვის.

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

შემდეგ მოდის რთული ეკონომიკური ასპექტების შესაძლო პოპულარული ენით ახსნა-განმარტება ფართო მკითხველისათვის და ბოლოს, უმთავრესი, „კვანძის გახსნა“ – თურმე, ნუ იტყვით და: „ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის ერთი, ყველაზე ეფექტური სისტემა ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის ე.წ. გრავიტაციული განტოლებაა, რომელიც გულისხმობს, რომ ვაჭრობაზე პოზიტიურ გავლენას ახდენს ორი ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბები, მისი მოცულობა, ხოლო ნეგატიურს – მანძილი ამ ქვეყნებს შორის. ამ კანონზომიერებას თვალსაჩინოდ დაინახავთ ბრიტანული ექსპორტის მიხედვით. გრაფიკზე გამოსახულია: Y ღერძზე – ბრიტანული ექსპორტის პროცენტული მონაცემები სხვადასხვა ქვეყანაში იმპორტიორი ქვეყნების ეკონომიკის მოცულობის მიხედვით, X ღერძზე კი – მანძილი შესაბამის ქვეყნამდე“. ვიდრე საფინალო რიტორიკულ კითხვას დასვამს, პოლ კრუგმანი კიდევ უფრო აკონკრეტებს და ნათელყოფს პრობლემის არსს: „თუმცა ამერიკა სთავაზობს ბრიტანეთს ევროკავშირის თანაზომიერ ბაზარს, იგი ბევრად შორსაა ტერიტორიულად და ბრიტანეთმა რომც დადოს ეს შეუძლებელი გარიგება, ნაკლებსავარაუდოა, ამას იგივე ფასი ჰქონდეს, რაც მის ახლანდელ საბაჟო კავშირს“. ავტორი კიდევ ერთხელ გახაზავს, რომ: „ეს ყველაფერი ნათელყოფს, თუ რატომ ცდილობს ტერეზა მეი ისეთი გარიგების მიღწევას, რაც საბაჟო კავშირს უცვლელს დატოვებდა. თუმცა ეს უკვე გამოსავალი აღარაა: ევროკავშირი ძველებურად განუსაზღვრავს საბაჟო პოლიტიკას დიდ ბრიტანეთს, იმ სიახლით, რომ ბრიტანეთი ხმის უფლებას დაკარგავს. მაშ, რა აზრი აქვს ბრექსითს? კარგი შეკითხვაა. სამწუხაროა, რომ რეფერენდუმამდე ბევრმა არ დასვა ეს კითხვა“. ეს „ღია დაბოლოება“[16] სათქმელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და ფიქრის, განსჯის სურვილს

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ამძაფრებს, რაც, ვფიქრობ, უმთავრესია მედიაშემოქმედებაში.

საყოველთაოდ ცნობილი და დედამიწის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ მხოლოდ დადებით კონტექსტში მოაზრებული მოვლენის – ბერლინის კედლის დაცემის ძალზე არაორდინალური შეფასებით იწყებს პოლ კრუგმანი თავის მორიგ პუბლიკაციას – „ეს აქ რატომ უნდა მოხდეს“: „ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ, ძალიან მალე, ჩემმა მეგობარმა, ექსპერტმა საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, იხუმრა: „ახლა, როცა დასავლეთ ევროპა განთავისუფლდა მისთვის უცხო და მიუღებელი კომუნისტური იდეოლოგიისგან, მას შეუძლია მიუბრუნდეს თავის ჭეშმარიტ ისტორიულ გზას – ფაშიზმს“. იმ პერიოდშიც კი, მისი ეს გესლი საკმაოდ გაბედული ჩანდა. 2018 წელს ეს უკვე აღარც ჰგავს ხუმრობას“,[17] შენიშნავს ავტორი. აქ, როგორც რიგითი მკითხველი, უთუოდ დაიბნევი: ჯერ ერთი და, გერმანიის „ჭეშმარიტი ისტორიული გზა“ ფაშიზმი ნამდვილად არ მგონია. იგი, ჩემთვის (და – არა მხოლოდ), პირველყოვლისა, გოეთეს, ჰაინეს, ბახის, ბეთჰოვენის, ბრამსის, გუტენბერგის... სამშობლოა. თუმცა, ემოციებს ვერ ავყვები, ვინაიდან, კვლევაზე მაქვს პრეტენზია და თავს მოვალედ ვთვლი, ქალამნისტის ამგვარი მსჯელობის ქვეტექსტებს ჩავწვდე, რისთვისაც პარალელს გამოვიყენებ: დავუკვირდეთ, როგორ იკვლევდა გერმანული ფაშიზმის წარმომავლობას დიდი ქართველი ჰუმანისტი, მოაზროვნე და პუბლიცისტი გერონტი ქიქოძე: „როგორ მოხდა, რომ ფილოსოფოსების, ჰუმანისტებისა და მგოსნების ერი სალდათების ერად იქცა?“ ამ რიტორიკულ კითხვას ჩვენი დიდებული მწერალი ფიქრის სულ სხვა მიმართულებით წარმართვისათვის სვამს: „ოდესღაც ცისფერი ყვავილი უყვარდა გერმანიას. ეს უმანკოების სიმბოლოა. დღეს მის ეროვნულ ბაირაღებს შურისძიებისა და სიკვდილის ფერი ადევს“.[18] პუბ-

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ლიცისტი ამ გლობალური მოვლენისადმი, რასაც ფაშიზმი ქვია, თავის დამოკიდებულებას, იდეურ მრწამსს, შემოვლითი გზით – ისტორიული ანალოგიებისა და ასოციაციური აზროვნების მოშველიებით ცდილობს: „გერმანელების მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, ამ ხალხში ყოველთვის სისხლისმსმელი მხეცი ცხოვრობდაო. შემდეგ მხეცებმა მიიძინეს დროებით, დღეს ხელახლა გამოძვრნენ ბუნაგებიდან, რადგან თოფის წამლის სუნი ეცათო“. გერონტი ქიქოძე, ჩანს, არ იზიარებს ამ მოსაზრებას, ვინაიდან დასძენს: „არ არსებობს სხვადასხვა ერის მეტ-ნაკლები სისასტიკე ან ლმობიერება... ყოველ ადამიანში ერთნაირად სთვლემს ეშმაკიცა და ღვთაებაც“.[19] ამ დებულების არგუმენტად გერონტი ქიქოძე რომაელების ისტორიულ მაგალითსა და საქართველოს ისტორიის ფაქტებს იშველიებს. როგორც ვხედავთ, ამ ორი მოაზროვნის – გერონტი ქოქოძისა და პოლ კრუგმანის მიერ ერთი და იმავე ფენომენის შეფასებები დიამეტრალურად განსხვავებულია. მკითხველს ვუტოვებთ არჩევანის ფუფუნებას – რომელს მიიღებს ამ ორგვარი თვალსაზრისიდან, რას გაითავისებს? ჭეშმარიტი თავისუფლება ხომ, როგორც არისტოტელე ბრძანებს, არის „არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება“. აქ ზიგმუნდ ფროიდის საინტერესო გამოკვლევაც შეგვახსენებს თავს: „ენამახვილობა და მისი ქვეცნობიერთან მიმართება“,[20] სადაც უმთავრესი დანასკვი ასეთია: „სუბიექტური პირობები ჩვენს სულში... განსაზღვრავენ ჩვენს მოდალობას; გონებამახვილურ შენიშვნას ძალუძს ზედაპირზე ამოატივტივოს ქვეცნობიერში დალექილ-მიჩქმალული ჩვენი განცდები... სულიერი კონფლიქტის სარკასტული გამონათქვამით გამოხატვა ხელს უწყობს ფსიქიკური ენერგიის გამოთავისუფლებას, რაც სიამოვნებას გვანიჭებს“. შესაბამის ნიმუშად ფროიდი გვთავაზობს ჰაინეს გონებამახვილურ გამონათქვამებს, რომელთა საფუძველსაც პოეტის ადრეული ახალგაზ-

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

რდობის წლებში მისი მდიდარი ნათესავების მხრივ გენიალური პოეტის მიმართ გამოჩენილ უსულგულობასა და მისი იგნორირების, მის მიმართ გამოჩენილი ქედმაღლობის პასუხად ქვეცნობიერში დალექილ პროტესტსა და ტკივილში ვარაუდობს. ანალოგიურად, ბრესტ-ლიტოვსკური წარმომავლობის ნიუ-იორკელი ებრაელის ქვეცნობიერში მისი ერის მიმართ გამოვლენილი ფაშისტური სისასტიკის გამო დალექილი ბუნებრივი ბოღმა და ტკივილი, იქნებ, სწორედ ის იმპულსია, რაც გერმანელი ერის ისტორიის ამ საჩოთირო პერიოდს უკავშირდება პოლ კრუგმანის ქვეცნობიერში და ამიტომაც გაითავისებს იგი ექსპერტი მეგობრის გესლიან ენამახვილობას, ქართველი მკვლევრისგან განსხვავებით, რომელსაც ფაშიზმის სისასტიკის პარალელურად, არ ეთმობა „ფილოსოფოსების, ჰუმანისტებისა და მგოსნების ერი“ მხოლოდ ფაშისტური პერიოდისათვის შესატოვებლად. ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია, რაზეც, უთუოდ, ღირს დაფიქრება...

მაინც რისთვის დასჭირდა კრუგმანს მეგობრის ამ სარკასტული შენიშვნის გახაზვა, წინა პლანზე წამოწევა? როგორც თავად წერს: „დასავლეთ ევროპაში ვითარდება ის მოვლენა, რასაც Freedom House-ი ანტილიბერალიზმს უწოდებს. ეს შეეხებათ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს – პოლონეთსა და უნგრეთს, რომლებშიც დემოკრატია, ჩვეულებრივი გაგებით, უკვე მკვდარია“. ამ მკვეთრი (მეტი რომ არ ვთქვა) შეფასების დასაბუთებას ქალამნისტი შემდეგი მსჯელობით ცდილობს: „ორივე ქვეყანაში მმართველმა პარტიებმა – „სამართალი და სამართლიანობა“ პოლონეთში, ხოლო „ფიდესი“ უნგრეთში, დაამყარეს რეჟიმი, რომელიც ფორმალურად სახალხო არჩევნებს ინარჩუნებს, მაგრამ, ამავდროულად, დაანგრიეს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, თრგუნავენ პრესის თავისუფლებას, დააკანონეს ფართომასშტაბიანი კორუფცია და ეფექტურად მოახდინეს განსხვავებული აზრის

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

დელეგიტიმაცია. ყოველივე ამის შედეგი, სავარაუდოდ, იქნება სახელმწიფოს ერთპარტიული მმართველობა“. ამ ორი ქვეყნის მაგალითზე ქალამნისტს თავისი უმთავრესი სათქმელისაკენ მივყავართ და ამგვარი ანალოგიებით ცდილობს დამაჯერებლობის მიღწევას: „იგივე მარტივად შეიძლება მოხდეს ამერიკაშიც...“ ამ მოსალოდნელი საფრთხის მიზეზს კრუგმანი რესპუბლიკური პარტიის ქმედებებში ხედავს. მისი აზრით, რესპუბლიკური პარტია მზადაა და სურს კიდეც, გახდეს პოლონური „სამართალი და სამართლიანობის“ ან – უნგრული „ფიდესის“ პარტიის ამერიკული ვერსია“, რათა გამოიყენოს ახლანდელი პოლიტიკური ძალაუფლება და გაინაღდოს მუდმივი მმართველობა. პოლ კრუგმანი ამ ყველაფერში ხედავს ტირანიის საშიშროებასა და უფრო მეტსაც – იგი საუბრობს ე.წ. „თეთრ ნაციონალიზმზე“, რომელმაც, პოლ კრუგმანის აზრით: „უკვე გაანადგურა დემოკრატია დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში. ჩვენ წარმოუდგენლად ახლოს ვართ მსგავს ვითარებასთან“.

მომდევნო პუბლიკაციის სათაურშივე კრუგმანი საჭირბოროტო კითხვას სვამს: „ვისთვის იზრდება ეკონომიკა?“[21] აქ სემანტიკური ბირთვი, რომლის ირგვლივაც ტრიალებს მთელი მსჯელობა, ისაა, რომ: „ერთ დროს, კითხვის დასმა, თუ ვინ მოიგებს ეკონომიკური ზრდის შედეგად, საჭიროც არ იყო იმ მარტივი მიზეზით, რომ შემოსავლები მუდმივად იზრდებოდა, პრაქტიკულად, ყველასთვის; მაგრამ 1970-იანი წლებიდან მოყოლებული, კავშირი ზოგადად ეკონომიკის ზრდასა და ინდივიდუალურ შემოსავლებს შორის გაწყდა ბევრი ამერიკელისთვის. ერთის მხრივ, უმრავლესობისთვის შრომითი ანაზღაურება გაიყინა: ინფლაციის გათვალისწინებით, საშუალო სტატისტიკური მამაკაცი დღეს ნაკლებს გამოიმუშავებს, ვიდრე 1979 წელს. მეორეს მხრივ, ზოგიერთი კერძო პირის შემოსავალი ბევრად უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მთლია-

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ნად ეროვნული შემოსავალი. ამრიგად, მსხვილი კომპანიის გენერალური დირექტორი 270-ჯერ მეტს გამოიმუშავებს, ვიდრე საშუალო სტატისტიკური თანამშრომელი, თანაც, 27-ჯერ მეტს, ვიდრე 1980 წელს". ქალამნისტი იკვლევს ამ დილემის მიზეზებს, აანალიზებს როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური კუთხით და გვთავაზობს საგულისხმო დასკვნებსა და რეკომენდაციებს დარღვეული წონასწორობის აღსადგენად.

დასასრულს, უნდა ითქვას, რომ არაორდინალური ეკონომისტი და, უთუოდ, ორიგინალურად მოაზროვნე ანალიტიკოსი-პუბლიცისტი, ნობელიანტი საერთაშორისო ეკონომიკის დარგში პოლ რობინ კრუგმანი არა მხოლოდ „ნიუ-იორკ ტაიმსის" წამყვანი ქალამნისტია, არამედ, ერთი გამორჩეულ სახეთაგანი თანამედროვე ამერიკულ მედიაში. მის ეკონომიკური თუ პოლიტიკური შინაარსის ტექსტებს ახასიათებს პრობლემათა სკრუპულოზური, მეცნიერული დამუშავება, ანალიზის სიღრმე და, ამავდროულად, სიტყვის, ფრაზის ფლობის ოსტატობა. ტენდენცია ხშირ შემთხვევაში სათაურშივეა გაცხადებული და აქტიური დასაწყისით – ლიდით გამყარებული. ქალამნისტს გონებამახვილობასთან ერთად ახასიათებს ენამახვილობაც, რისი შედეგიცაა ეფექტური, ექსპრესიული შინაარსი, ხშირად სუბიექტური და, შესაბამისად, სადავოც, მაგრამ პრინციპულად, გულწრფელად გამოხატული ავტორისეული პოზიცია, ტენდენცია თუ კონცეფცია, რომელსაც შესაძლოა დაეთანხმო, ან არ გაიზიარო ბოლომდე, მაგრამ გულგრილი არასოდეს რჩები, ვინაიდან გადამდებია მისი ემოციურად მჟღერი, გულშემატკივრული დამოკიდებულება პრობლემებისადმი და მათი გადაჭრის გზათა აზარტული, ამავდროულად, პროფესიონალური ძიება.

ვერ ვიტყვი, რომ „მშურს" ამერიკული ქალამნისტიკის ასეთი სიმაღლისა (შური ყველა შემთხვევაში ბნელი

BRAMS 2020 ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

და ჩემთვის სრულიად მიუღებელი ემოციაა), მაგრამ უფლებას ვიტოვებ, როგორც ილია მართალი გვმოძღვრავს,[22] შევნატროდე ამერიკული მედიის პროფესიულ დონეს იმდენად, რომ ახლახან გაზეთების „ვაშინგტონ პოსტისა“ და „ნიუ-იორკ ტაიმსისათვის“ მინიჭებული პულიტსერის პრემია „მეცოტავება“.

ლიტერატურა ▫ References

1. ჯონ მეინარდ კეინსი – ინგლისელი ეკონომისტი, კეინსიანიზმის დამფუძნებელი ეკონომიკის თეორიაში. ითვლება მაკროეკონომიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, ერთ-ერთ მამამთავრად.
2. პოლ კრუგმანი, „კრიზისიდან გამოსავალი არსებობს“: ვინ არის დამნაშავე ამერიკულ და მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში? რა გამოსავალი არსებობს და რა უნდა მოიმოქმედონ ბიზნესმენებმა და პოლიტიკოსებმა მის დასაძლევად? როდის დასრულდება რეცესია და როგორ ავიცილოთ მისი განმეორება? (წიგნი არაერთ საჭირბოროტო კითხვას პასუხობს).
3. Krugman, Paul (2018, April 23). We Don’t Need No Education. *The New York Times*, <https://www.nytimes.com>
4. Nadare, Maia (2002). *Alpha & Omega of Publicistic Writing: From Lead to Ending*. Tbilisi: Tbilisi University Press (In Georgian).
5. Standring, Suzette Martinez (2008). *The Art Column Writing*. Oark Masion Street Press.
6. ტყებუჩავა დიანა (2011). ჟურნალისტიკამცოდნეობა მომიჯნავე დისციპლინათა ჭრილში, თბილისი: „უნივერსალი“.
7. კრუგმანი პოლ (30 ივნისი, 2016). მთელი ევროპული პროექტი დიდი დარტყმის საფრთხის წინაშე, გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“.
8. Krugman, Paul (2018, June 1). Oh, What a Stupid Trade War (Very Slightly Wonkish). *The New York Times*, <https://www.nytimes.com>
9. კრუგმანი პოლ (20 თებერვალი, 2018). ტრამპი და პუტინი ამერიკის წინააღმდეგ, გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“.
10. Krugman, Paul (2018, July 31). Transaction Costs and Tethers: Why I’m a Crypto Skeptic. *The New York Times*, <https://www.nytimes.com>

11. კრიპტოვალუტა – ელექტრონული ფული, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს თანხა გაგზავნოს ინტერნეტით მსოფლიოს გარშემო უმოკლეს დროში, უშუამავლოდ, ანონიმურად, იდენტიფიცირების გარეშე.
12. TETHER – კრიპტოვალუტის სახელწოდება; tethering – მიბმულობა, დაბმა, შეზღუდვა.
13. Krugman, Paul (2018, July 11). Brexit Meets Gravity. *The New York Times*, <https://www.nytimes.com>
14. ტყებუჩავა დიანა (2020). მედიატექსტის ბუნება: ფუნქციურ-ტიპოლოგიური ანალიზი. თბილისი: „უნივერსალი“.
15. ესკაპიზმი – კრიზისისა და გაჭირვების ჟამს ინდივიდის მიერ რეალური სამყაროდან ილუზორულ ხილვებში გაქცევის მცდელობა (იხ. აგრეთვე, ესკიპიზმი) [იხ.: ელერდაშვილი ალექსანდრე (შემდგ.) (2006). უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი სამ ტომად. პირველი გამოცემა, თბილისი: „ფანტაზია“.
16. *Alpha & Omega of Publicistic Writing* (Nadare, 2002).
17. Krugman, Paul (2018, August 18). Why It Can Happen Here. *The New York Times*, <https://www.nytimes.com>
18. ქიქოძე გერონტი, ცეცხლის სარბიელი // იხ.: ტყებუჩავა დიანა (1997). პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 47.
19. იქვე.
20. Фрейд, Зигмунд (1997). *Остроумие и его отношение к бессознательному*. Санкт-Петербург–Москва: Университетская книга, стр. 17-141.
21. Krugman, Paul (2018, August 30). For Whom the Economy Grows. *The New York Times*, <https://www.nytimes.com>
22. ჭავჭავაძე ილია: „...შური ვერ იტანს სხვისა ღირსებას, ნატვრა კი შეჰხარის, შური ებრძვის ღირსებას, ნატვრა კი ეტრფის“ [იხ.: ჭავჭავაძე ილია (1987). რჩეული ნაწერები ხუთ ტომად. ტომი 5, თბილისი).

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)